სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

13425396421725

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N250473064**

რეგისტრაციის თარიღი

**24.04.2025 წ**

ნოტარიუსი: ეკატერინე ძულიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
ტელეფონი: 599589966

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

# სანოტარო აქტი

დღეს, ორიათას ოცდახუთი წლის ოცდაოთხ აპრილს, მე, ნანა მოსიას, ნოტარიუს ეკატერინე ძულიაშვილის შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. 3 კვ, კორპ. 7, ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე **მიხეილ ზურაბაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს **„ორხევი 96“**-ის დირექტორი და ითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე. დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად **მიხეილ ზურაბაშვილმა** (დაბ. **26.12.1982** წელს, მის. **თბილისი იუნკერ მიხეილ იოსელიანის ქ. N 16 ბ. 2, პ№ 01006012470**) მომმართა.

შევამოწმე **მიხეილ ზურაბაშვილის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად არის შპს **„ორხევი 96“**-ის დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22151994**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **29.11.2022**, საიდენტიფიკაციო ნომერი: **208144827**.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან თავადაც წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

# მინდობილობა

მე, შპს **„ორხევი 96“**-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: **208144827**) დირექტორი **მიხეილ ზურაბაშვილი** უფლებამოსილებას ვანიჭებ **ზაზა ბასილაძეს** (დაბ. **11.11.1982** წელს, პ№ **41001006464**) იყოს შპს **„ორხევი 96“**-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: **208144827**) სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) ურთიერთობაში, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საკრებულოში (ლეგალიზების კომისიაში), გამგეობაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, ყაზტრანსგაზსში, თელასში, სილქნეტში, შპს თბილისი ენერჯიში. ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია **ორიათას ოცდაშვიდი წლის ოცდაოთხი აპრილის ჩათვლით.**

მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო ორი მიეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის:

1. შპს **„ორხევი 96“**-ის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B22151994**, ამონაწერის მომზადების თარიღი: **29.11.2022**.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის **30.00** ლარი თანახმად **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **31** მუხლისა + დღგ **5.40** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის **166** მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური **5.00** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **2011** წლის **29** დეკემბრის **№ 507** დადგენილების **39** მუხლისა, სულ გადახდილია **40.40** ლარი.

შპს-ს დირექტორი _____

ნოტარიუს ე. ძულიაშვილის შემცვლელი პირი: _____ ნანა მოსია